პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 130 (2850) ● კვირა, 4 ივლისი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

# დღეს, ლუჟნიკში!

საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

## ბრაზილია — სსრ კავშირი

(ნაკრები) (ნაკრები)

### მოედანზე გამოვლენ:

ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვ. ფეოლამ დაასახელა ფეხბურთელები, რომლებიც დღეს გამოვლენ ლუჟნიკში. ესენი არიან: მანგა, ჯ. სანტოსი, ბელინი, ორლანდო, რილდო, დუდუ, ჟერსონი, გარინჩა ან ჟაირი, ფლავიო, პელე, პარანა.

საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა დაასახელა: კავაზაშვილი ან ბანიკოვი, პონომარიოვი, ვორონინი, რიაბოვი, სარაევი, ჰუსაინოვი, ლოგოფეტი, სიჩინავა ან ბიბა, მეტრეველი, ივანოვი, ბარქაია, მესხი.

მატჩს სჯის შვედი არბიტრი ჰ. კარლსონი.

# „მე მაქვს ბილეთი“...

მოსკოვი, 3 ივლისი. (ჩვენი სპეც. კორ.). ახლა ეს დიდი ამბავია მოსკოვში. დედაქალაქს ბევრი რამ აქვს ნანახი თავის საფეხბურთო მინდვრებზე, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, არ ყოფილა არასდროს. ორგზის მსოფლიო ჩემპიონისა და ყველა დროის ყველაზე უკეთესი ფეხბურთელის პელეს სანახავად ამხედრებულია მთელი მოსკოვი და არა მარტო მოსკოვი, არამედ მას დიდი ინტერესით მოელიან საერთაშორისო საფეხბურთო წრეებიც. აქაური გულშემატკივარი ნახმახივითაა შეყენებული ფეხზე. ყველაფერი გამიზნულია ლუჟნიკის სტადიონისაკენ.

ახლა მოსკოვში არის მოარული ხუმრობა, სადაც ნათქვამია, რომ კარგი იქნებოდა ბრაზილიელებს თან ჩამოეტანათ თავიანთი „მარაკანას“ სტადიონი, სადაც 200 ათასზე მეტი მაყურებელი ეტევა. მაგრამ საეჭვოა, რომ თვით „მარაკანას“ სტადიონი ჰყოფნოდა ასეთ დიდ მოზღვავებას.

მაგრამ მე ეს ხუმრობები სრულიადაც არ მეხება: მე მაქვს ბილეთი, საუკეთესო ბილეთი — „აღმოსავლეთის ტრიბუნა, მე-20 რიგი“, და ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, პელეს და მის ამხანაგებს ვნახავ, შავ ბრილიანტს ვნახავ აუცილებლად.

„ლელოს“ მკითხველებს ნუ გაუკვირდებათ, რომ მათი საფეხბურთო ემისარი მოსკოვში ასე ხარობს თავისი ბილეთით. მოსკოვში ახლა ეს ყველაზე უფრო ძვირფასი ქაღალდის ნაჭერია.

პელე და მისი მეგობრები ჩვენ უკვე ვნახეთ. ეს იყო პარასკევს, ლუჟნიკის ცენტრალურ მინდორზე, სადაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ჩაატარა ვარჯიში. ბრაზილიის გუნდის მწვრთნელებმა ვისენტე ფეოლამ და პაულო ამარალმა გამოიყვანეს თავიანთი ფეხბურთელები მინდორზე. დაიწყეს ჯერ საერთო ვარჯიშები, მერე შეუდგნენ ბურთზე მუშაობას. ეს ყველაფერი ხდებოდა მსუბუქად, იუმორის აკომპანიმენტით. მინდორზე განუწყვეტლივ ისმოდა სიცილი. შემდეგ გაიყვნენ ორად: „ყვითლები“ და „მწვანეები“. პელე და გარინჩა მოხვდნენ სხვადასხვა გუნდებში, მაგრამ ერთიც და მეორეც თამაშობდნენ დაცვაში. პელემ დაიტრაბახა, გოლს გავიტანო და მან მართლაც გაიტანა იგი... საკუთარ კარში. მიუხედავად ამისა, შეხვედრა მოიგო პელეს გუნდმა.

ჩვენ, ჟურნალისტები, ვესაუბრეთ პელეს. მან, სხვათა შორის, განაცხადა: — ძალიან მწყინს, როდესაც ყოველთვის ფეხბურთზე მელაპარაკებიან და არასდროს არ მეკითხებიან, მიყვარს თუ არა ბალეტი, ვნახე თუ არა უკვე კრემლი, შევეცდები თუ არა გავეცნო თქვენს კოსმონავტებს. საბჭოთა ფეხბურთელებიდან ძალიან კარგად ვიცნობ სახელგანთქმულ მეკარეს იაშინს. საერთოდ გატანილი მაქვს 700-მდე გოლი. ამბობენ, რომ ეს არის ყველა დროის რეკორდი, მაგრამ მე ეს არ შემიმოწმებია.

პელე არის ხალისიანი, თავაზიანი და უყვარს იუმორით ლაპარაკი. სხვათა შორის, შვეციის ნაკრებთან თამაშისას პელემ მიიღო მცირე ტრავმა (შუბლზე აქვს კოპი).

ჩვენ აგრეთვე ვესაუბრეთ ფეოლას, ბრაზილიური სისტემის ავტორს. ამ სისტემის გამოგონებაზე მან ღიმილით გვიპასუხა — მე არავითარ გამოგონებას არ ვაწარმოებდი. ვათამაშებდი გუნდს, როგორც ამას მოითხოვდა მოწინააღმდეგე გუნდთან საპირისპირო თამაში, გათვალისწინებული მქონდა, რა თქმა უნდა, მოთამაშეთა შესაძლებლობანი და მონაცემები. შემდეგ კი ეს თანდათანობით გადაიზარდა სისტემაში. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენ ხშირად ვცვლით განლაგებას.

ახლა ჩვენს გუნდში არის 5 მსოფლიო ჩემპიონი: ესენია — ჯალმა სანტოსი, ბელინი, ორლანდო, პელე, გარინჩა. გუნდში მრავლად არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებთ. სხვათა შორის, ჩვენ ახლა ბრაზილიაში დავტოვეთ დაცვის ხაზის ორი საუკეთესო მოთამაშე — კარლოს ალბერტო და ჯალმა დიასი, რომლებიც უდისციპლინობის გამო არ წამოვიყვანეთ. და თუ ისინი გამოსწორდებიან, კვლავ ჩავრიცხავთ ძირითად შემადგენლობაში...

კვირას დიდი მატჩია. მას მილიონობით მაყურებელი ნახავს და იმ 100 ათასში, რომელიც ლუჟნიკის სტადიონზე მოიყრის თავს, მეც ვიქნები: აღმოსავლეთის ტრიბუნა, მე-20 რიგი.

ბ. ქორქია.



# 11 შეკითხვა 11 ბრაზილიელს

სპორტულ სამყაროში დიდ ინტერესს იწვევს ბრაზილიისა და სსრ კავშირის ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრა. ეს მატჩი სპორტულ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრშია. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ რამე „გამოგლიჯონ“ მსოფლიო ჩემპიონებს.

საინტერესოა „ვეჩერნაია მოსკვას“ კორესპონდენტის საუბარი ბრაზილიელებთან:

● **ვის თვლით უძლიერეს მეკარედ მსოფლიოში?**

*მანგა (მეკარე)* — ჩემი კერპია არგენტინელი კარისო.

● **რამდენჯერ ითამაშეთ ბრაზილიის ნაკრებში და რომელმა მატჩმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

*ჯალმა სანტოსი (მცველი)* — ნაკრებში ვითამაშე 90-ჯერ, სამუდამოდ დამამახსოვრდა მსოფლიოს VI ჩემპიონატის ფინალური მატჩი შვეციის ნაკრებთან, სადაც შვედებმა პირველებმა გახსნეს ანგარიში, ხოლო შემდეგ ჩვენ გავათანაბრეთ იგი და დამატებით 4 ბურთიც გავიტანეთ.

● **რომელ გუნდს თვლით ყველაზე უფრო სახიფათო მეტოქედ ევროპაში ჩატარებული ტურნეს დროს?**

*ბელინი (მცველი)* — როგორც მოველოდი, ყველაზე ძნელი მატჩი გვქონდა პორტუგალიელებთან. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ნაკრები ნაკლებად სახიფათო მეტოქე არ იქნება.

● **როგორ ამინდში გიყვართ თამაში?**

*ორლანდო (მცველი)* — ყოველგვარ ამინდში. წვიმაშიც, სიცივეშიც, სიცხეშიც და ჩემი აზრით, თოვლშიც კი, თუმცა ეს უკანასკნელი არც ვიცი, რა არის.

● **როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს თანამედროვე მცველს?**

*რილდო (მცველი)* — მან, უპირველესად ყოვლისა, დროზე უნდა „გაანადგუროს“ მეტოქე. მცველი ვალდებულია საუცხოოდ ფლობდეს ბურთს, ზუსტად და დაუყოვნებლივ უნდა შეძლოს გაერკვეს იმ ადგილში, სადაც მეტი ხიფათია მოსალოდნელი. ყოველივე ამასთან ერთად იგი უნდა იყოს ზედმიწევნით სამართლიანი.

● **რომელი ფეხბურთელისგან იღებთ მაგალითს?**

*დუდუ (ნახევარმცველი)* — ჩემს თანამემამულე ზიტოსაგან.

● **რას ფიქრობთ ხვალინდელ მატჩზე?**

*ჟერსონი (ნახევარმცველი)* — პროგნოზები ხიფათო საქმეა, განსაკუთრებით ფეხბურთში. ამაში ხშირად გამოცდილი სპეციალისტებიც ცდებიან. დარწმუნებული ვარ, რომ მატჩი საბჭოთა ნაკრებთან ძალზე ძნელი იქნება.

● **როგორია თქვენი ფეხბურთის კრედო?**

*გარინჩა (თავდამსხმელი)* — თავდასხმა.

● **ვის თვლით ძირითად პრეტენდენტებად ლონდონის ფინალურ მატჩში?**

*ფლავიო (თავდამსხმელი)* — ბრაზილიას, სსრ კავშირს, ინგლისს და გფრ-ს.

● **უკანასკნელ ხანს თქვენ, როგორც წესი, მოედნიდან ისე არ გადიხართ, რომ გოლი არ გაიტანოთ. ამ „პრინციპის“ ერთგული დარჩებით თუ არა ხვალაც?**

*პელე (თავდამსხმელი)* — ო!.. ეს მარტო ჩემზე როდია დამოკიდებული. თუ საშუალება მომეცემა, მზად ვარ ორი გოლიც გავიტანო.

● **რა გსურთ გადასცეთ საბჭოთა გულშემატკივრებს?**

*პარანა (თავდამსხმელი)* — ყველაზე გულთბილი სურვილები. შევეცდებით ჩვენი თამაშით ჭეშმარიტი სიამოვნება მოვუტანოთ მათ.

## ორივე მხარე შეთანხმდა...

თამაშის მსვლელობისას ნებადართულია მინდვრის 3 მოთამაშისა და მეკარის შეცვლა.

●

### რადიოთი და ტელევიზიით

ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს ფეხბურთში ბრაზილიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის ნახავს და მოუსმენს მილიონობით გულშემატკივარი. ტელევიზიით იგი დაიწყება 20 საათზე და გადმოცემული იქნება ორივე ტაიმი, რადიოთი კი მეორე ტაიმი, რომელიც დაიწყება 21 საათზე (დრო ადგილობრივია).







გუშინწინ ბრაზილიელებმა ლუჟნიკში ჩაატარეს ვარჯიში. ეს სურათები, რომლებიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა მოსკოვში გადაიღო, ასახავს წვრთნის მომენტებს. მეკარე მანგა (ზემოდან მარცხნივ), მოთელვაზე, პელე და ჟაირი (მარჯვნივ), ზემოთ — გარინჩა.



რკინიგზელ მძლეოსან ტ. ბახტაძეს საქართველოში ბადალი არა ჰყავს 400 მეტრზე რბენაში. რესპუბლიკის რეკორდსმენი უკვე მზადაა სპარტაკიადისთვის და იმედი აქვს თბილისის სტარტებში გამარჯვებით მოსკოვის საგზურსაც მიიღებს.

სურათზე: ტ. ბახტაძე „დინამოს" სტადიონის სარბენ ბილიკზე საწვრთნელი ვარჯიშის დროს.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

# ჩვენი შენიშვნები

## ◆ დებულების უკულმართობანი

მძლეოსანთა ასპარეზობაში ნაჩვენები იქნა 1 ოსტატის, 1 ოსტატობის კანდიდატისა და 63 პირველი თანრიგის შედეგი. საგანგაშო თითქოს არაფერია, მაგრამ თუ საქმის არსს უფრო ღრმად ჩავწვდებით, დავინახავთ, რომ ეს მაჩვენებლები მოპოვებულია ასპარეზობის პროგრამის მხოლოდ 22 სახეობაში. 8 სახეობაში კი (ქალთა რბენა 100, 200 და 400 მეტრზე, სიმაღლეზე ხტომა, შუბის ტყორცნა და ვაჟთა რბენა 3000 მ წინაღობებით, 5000 მეტრზე, ჭოკით ხტომა) გამარჯვებულებიც ვერ შეწვდნენ ჩასათვლელ ნორმატივს.

განსაკუთრებით სამარცხვინო იყო შედეგები 3000 მ წინაღობებით რბენასა და ჭოკით ხტომაში. მორბენალთაგან მხოლოდ ერთმა მიაღწია ფინიშამდე, ჭოკით ხტომაში კი 7-დან ოთხმა სპორტსმენმა განაცხადში აღნიშნული საწყისი სიმაღლის დაძლევაც ვერ შეძლო (!).

ამ სავალალო ფაქტებს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ პროგრამის ხუთ სახეობაში (10 კმ რბენა, ათჭიდი; ქალების 100 მ თარჯრბენი, 800 მ რბენა, ესტაფეტა 4×100 მ) შეჯიბრება ჩაიშალა (ან გუნდებმა ვერ შეძლეს მონაწილეთა გამოყვანა, ან სპორტსმენებმა ვერ მიაღწიეს ფინიშამდე), ადვილად დავრწმუნდებით ჩვენი მძლეოსნების სისუსტეში.

ჩვენი აზრით, შეცდომა იყო ისიც, რომ ფიზკულტურული კოლექტივების სპორტსმენები პარალელურ ჩათვლას აძლევდნენ თავიანთ სპორტსაზოგადოებებს. ამით მხოლოდ თავს ვიტყუებთ, ვინაიდან საკავშირო სპარტაკიადაში ასეთი რამ არ მოხდება. ფიზკულტურული კოლექტივების ტურნირში მონაწილე გუნდები იქ ვერაფერს არგებენ თავიანთი რესპუბლიკების ნაკრებს.

ამ ფაქტზე იქნებ არაფერი გვეთქვა, რომ სპარტაკიადის დებულებაში უარეს უკულმართობას არ ჰქონოდა ადგილი. დებულების თანახმად, იმ სახეობებში, რომლებშიც ფიზკულტურული კოლექტივების პირველობაც გათამაშდა, საერთო გუნდური ადგილი გამოჰყავდათ საზოგადოების ნაკრები გუნდისა და ფიზკულტურული კოლექტივების მიერ დაგროვილი ქულების შეჯამებით. და აი, ვთქვათ, ფიზკულტურული კოლექტივის მძლეოსანმა, რომელმაც 850 ქულა მოიპოვა, სინამდვილეში საზოგადოებას მისცა 850×3=2500 ქულა, რაც ყოვლად უკულმართულ გავლენას ახდენდა ადგილების საბოლოო განაწილებაზე. სწორედ ამის გამოა, რომ დღემდე შეუჯამებელია გუნდური შედეგები ასპარეზობისა, რომელიც უკვე დიდი ხანია დამთავრდა.

ფიზკულტურულ კოლექტივებში ბრძოლამ აბსურდამდე მიიყვანა სპარტაკიადის შტაბის უფროსი ი. ჩოჩია. დაინტერესებულმა პირებმა იგი შეცდომაში შეიყვანეს და დააწერინეს ყოვლად უმართებულო განკარგულება, რომელიც მძლეოსნობის უფროს მსაჯს ავალებდა სპორტულ მოსიარულე ა. შჩერბინასა და თარჯმორბენალ გ. გვინჩიძის (ორივე — „სპარტაკიდან") შედეგები სპორტკლუბ „სინათლის" ჩათვლაში შეეტანათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კლუბს I ადგილზე გაიყვანდა. ამგვარ უცნაურ განკარგულებას მძლეოსანთა ასპარეზობის მრავალწლიანი ისტორია არასდროს არ მოსწრებია. ჯერ ერთი, შჩერბინა სულ ახლახან გადავიდა „სპარტაკში" და, მეორეც, ამგვარი განკარგულება უნდა მიეღო (თუ იგი, საერთოდ, დასაშვებია) არა სახეობის უფროს მსაჯს, არამედ სამანდატო კომისიას, რომლის ნებართვით ხდება სპორტსმენთა შეჯიბრებაში დაშვება.

## ◆ საბრძოლო სულისკვეთებას გამარჯვება მოაქვს

ორიოდე სიტყვაც მოფარიკავეთა ასპარეზობაზე.

რაპირისტ ქალებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა მ. კოხრეიძემ. რაპირისტ ვაჟთა შორის გამარჯვებული ნ. ძიძიკაშვილი არ გამოირჩევა დახვეწილი ტექნიკით და ბრძოლის ლამაზი მანერით. მაგრამ მას აქვს მებრძოლის საუკეთესო თვისებები: გამარჯვების დიდი სურვილი, სპორტული ჟინი და არაჩვეულებრივი გამბედაობა. სწორედ ამ თვისებების წყალობით მან ამჯერადაც დამსახურებულად გაიმარჯვა და უკან ჩამოიტოვა ბევრი გამოცდილი ოსტატი.

საერთოდ, ასპარეზობას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, რადგან მასში მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკის ბევრ უძლიერეს მოფარიკავეს. არც შეჯიბრების ორგანიზაცია იყო მაინცდამაინც სახარბიელო.

„ლელოს" ბრიგადა.




# სასარგებლო ღონისძიება

სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციამ მოკავშირე რესპუბლიკების ფედერაციებს ურჩია გადაეღოთ და დაენერგათ 1960 წელს პირველად საქართველოში გამართული სოფლის სკოლების მძლეოსანთა მასობრივი შეჯიბრების პრაქტიკა. საკავშირო ფედერაციის მითითება შემთხვევითი არ იყო. მან შეისწავლა ეს წამოწყება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ანალოგიური შეჯიბრება არა მარტო აამაღლებდა ამ სახეობის კულტურას ყველგან, არამედ საგრძნობლად შეუწყობდა ხელს პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლინებასაც.

ამ დებულების ჭეშმარიტება დაადასტურა ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილემ. ბევრ რაიონში გამოჩნდნენ ისეთი სპორტსმენები, რომლებმაც შემდგომ საქართველოს ნაკრებში დაიმკვიდრეს ადგილი.

საქართველოს სოფლის სკოლების წლევანდელი შეჯიბრების ფინალში (მას წინ უსწრებდა ასპარეზობა სკოლებსა და რაიონებში), რომელიც ამას წინათ გაიმართა თბილისში, 22 რაიონის 363 წარმომადგენელმა მოიყარა თავი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში რაიონების ნაკრებთა შორის გაიმარჯვეს ახმეტელებმა. II და III ადგილებზე დაიკავეს გურჯაანის რაიონისა და ასპარეზობაში პირველად მონაწილე წალკის რაიონის მოსწავლეებმა. სამაგიეროდ, სასკოლო კოლექტივთა შორის კვლავ მიუწვდომელი იყო ანანურის (დუშეთის რაიონი) მოსწავლეთა გუნდი, რომელსაც მიეკუთვნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი დროშა. ახმეტისა და არაშენდის (გურჯაანის რაიონი) სკოლები მომდევნო ადგილებზე გავიდნენ.

ასპარეზობამ გაამართლა იმედები. სწორედ 15 წლის ანანურელი გ. პირმისაშვილი იყო, რომელმაც 600-გრამიანი შუბი ყველაზე შორს — 49,71 მეტრზე ტყორცნა. ამ სკოლის ყოფილი აღსაზრდელის, ამჟამად თბილისის სკოლა-ინტერნატის მოსწავლის გ. ბედუკაძის გამარჯვებით დამთავრდა 800-გრამიანი შუბის მტყორცნელთა შეჯიბრება. ამ ჭაბუკის შედეგია 52,24 მ. ბიჭებს არც ამ რაიონის ხევსური გოგონა, ბარისახოელი ე. ბუღელაშვილი ჩამორჩა. მისი შუბი 36,49 მეტრზე „გაფრინდა".

რაც შეეხება ხელყუმბარის ტყორცნას, რომელიც, ფაქტიურად, შუბის მტყორცნელთა „სასინჯი ქვაა", ახლანდელმა მოასპარეზეებმა უკეთესი შედეგები მოიპოვეს, ვიდრე საქართველოს უძლიერეს შუბის მტყორცნელებს ჰქონდათ თავის დროზე.

სსრ კავშირის ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი კ. გორძემაშვილი, რომელიც დუშეთიდანაა, 14 წლის ასაკში 58 მეტრზე ტყორცნიდა ხელყუმბარას. წალკელმა გ. კოტანოვმა კი 500-გრამიანი ხელყუმბარა 62,30 მეტრზე მოისროლა. 17 წლის საგარეჯოელი ჭაბუკის კ. გრატიაშვილის მიერ გატყორცნილი 700-გრამიანი ხელყუმბარა 65,50 მეტრზე დაეცა. 14 წლის ანანურელმა გოგონამ ნ. ჩიკოიძემ ხელყუმბარა 51,10 მეტრზე ტყორცნა. ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიგონოთ, რომ საქართველოს გოგონების რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში, ლენტეხელი ც. ლიპარტელიანი ჩიკოიძის ასაკში ხელყუმბარის ტყორცნაში 42 მეტრს არ გასცილებია.

მრავლის აღმთქმელი შედეგები აჩვენეს 5-კილოგრამიანი ბირთვის კვრაში საშუალო ასაკის ჭაბუკებმა ვ. ბაცაცაშვილმა (წითელწყარო) — 13,74 მ და ი. დალბაშვილმა (საგარეჯო) — 13,13 მ, უფროს ასაკში კი (6 კგ ბირთვი) — მახარაძელმა ვ. თალაკვაძემ — 13,46 მ. რაც შეეხება გოგონებს, იმედს იძლევიან საშუალო ასაკის ახმეტელი პ. კარალოვა (10,79) და გურჯაანელი ც. ჯავახიშვილი (10,57 მ).

სხვა სახეობებშიც გამოჩნდნენ პერსპექტიული ნორჩები. ახალბედის თაობაზე შესანიშნავად გამოვიდა გურჯაანის ინტერნატის აღსაზრდელი, 14 წლის რ. პოპოვი. 60 მ რბენაში მან 7,8 წამი, ხოლო სიგრძეზე ხტომაში 548 სმ აჩვენა. მას ბევრით როდი ჩამორჩა მეორე გურჯაანელი ო. ჯავახიშვილი (სიგრძე — 527 სმ, 60 მ — 8,1 წამი). სიგრძეზე მხტომელ გოგონათა შორის ქებას იმსახურებს 14 წლის ახმეტელი ნ. კარმაზანაშვილი — 455 სმ. მას ყველა მონაცემი აქვს, ცხადია, სათანადო წვრთნის შედეგად სულ მალე შეასრულებს I თანრიგი და მერე, რა თქმა უნდა, ოსტატობაზეც იფიქროს.

სიგრძეზე ხტომაში მოზრდილთა I თანრიგს გადააჭარბა სამგორის სკოლის მოსწავლე გოგონამ, 15 წლის ლ. კორკოტაძემ. იგი 559 სანტიმეტრზე გადახტა. სიმაღლეზე ხტომაში მისი შედეგი უფრო მოკრძალებულია — 135 სმ.

ამ დებიუტანტების სახით საქართველოს მძლეოსანთა რიგები, იმედია, ერთგვარ შევსებას მიიღებენ.

სოფლის სკოლების მძლეოსანთა შეჯიბრებანი, რომელთაც „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო და განათლების სამინისტრო მართავენ, უაღრესად დადებითი და სასარგებლო მოვლენაა.

პ. ტახტაროვი,
საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის მოზარდთა კომისიის თავმჯდომარე.

# სპარტაკიადა, სპორტსმენი, შედეგები

## მძლეოსნობა

ქალები. 400 მ რბენა — ლ. თოფჩიშვილი („განთიადი") — 1.00,3, ლ. ზგურსკაია („ბურევესტნიკი") — 1.03,8, ლ. მატროსოვა („ლოკომოტივი") — 1.07,2; სიგრძეზე ხტომა — ლ. იევლევა („ბურევესტნიკი", უნივერსიტეტი) — 584 სმ, ზ. სანეევა („ლოკომოტივი", სპორტკლუბი „ელმავალი") — 562, დ. კაპანაძე („ლოკომოტივი") — 556; ესტაფეტა 4×100 მ არ ჩატარდა, ვინაიდან გუნდები ვერც ერთმა საზოგადოებამ ვერ გამოიყვანა.

ვაჟები. 400 მ რბენა — ტ. ბახტაძე („ლოკომოტივი", სპორტკლუბი „ელმავალი") — 48,6, ა. ტეკშტრემი — 53,0, ყ. კაპანაძე (ორივე — „განთიადი") — 53,6; 1500 მ რბენა — ი. ლოგუნოვი — 3.57,3, გ. რუკინი (ორივე — „ბურევესტნიკი", უნივერსიტეტი) — 3.57,8, ნ. თვაური („განთიადი", სპორტკლუბი „განთიადი") — 3.59,0; ესტაფეტა 4×100 მ — „ლოკომოტივი" (პირადი) — 43,0, „ბურევესტნიკი" — 43,4, „განთიადი" — 43,4; უროს ტყორცნა — ე. მეჟენკოვი („განთიადი", სპორტკლუბი „განთიადი") — 55,23, ა. ბაგაური („ბურევესტნიკი") — 51,90, ო. ართილაყვა („ლოკომოტივი", სპორტკლუბი „ელმავალი") — 51,50; 400 მ თარჯრბენი — ო. კობჩიკი — 55,4, მ. ტულუში (ორივე — „ბურევესტნიკი") — 56,9, პ. ნაგორნი („განთიადი", სპორტკლუბი „განთიადი") — 58,0; სამხტომი ლ. დარახველიძე („სპარტაკი", სპორტკლუბი „სინათლე") — 15,33, ა. ჩერნიშოვი („ბურევესტნიკი") — 14,13, ვ. ოგანესიანი („ლოკომოტივი") — 13,96.

## ფარიკაობა

პირადი ჩათვლა. რაპირა ქალები: 1. მ. კოხრეიძე, 2. ლ. ფანჩვიძე, 3. ზ. ლორთქიფანიძე; რაპირა ვაჟები: 1. ნ. ძიძიკაშვილი, 2. რ. დევიძე, 3. ა. ბობოხიძე; ესპადრონი: 1. გ. ლორთქიფანიძე, 2. გ. დავთიანი, 3. გ. ბახტაძე; დაშნა: 1. ი. პეტროსოვი, 2. ი. მაშინაია, 3. ო. მატინოვი.

გუნდური ჩათვლა: 1. „ბურევესტნიკი", 2. „სპარტაკი", 3. „განთიადი".

# ახალი ამბები

● ლონდონი. უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტრადიციულ ტურნირზე დამთავრდა ვაჟთა ასპარეზობა. ტურნირში, რომელიც ფაქტიურად საერთაშორისო ჩოგბურთის მსოფლიოს არაოფიციალური პირველობაა, მესამედ გაიმარჯვა ავსტრალიელმა რ. ემერსონმა. მან ფინალში დაამარცხა თავისი თანამემამულე ფ. სტოლე — 6:2, 6:4, 6:4.

● პარიზი, 3 ივლისი. გუშინ დაიწყო მსოფლიოს XVI ჩემპიონატი ფარიკაობაში. პირველ დღეს ასპარეზობდნენ რაპირისტი ვაჟები. 90 სპორტსმენიდან შესარჩევი ბრძოლები კარგად განვლო 48 სპორტსმენმა, რომელთა შორის არიან საბჭოთა მოფარიკავენი — გ. სვეშნიკოვი, ი. სისიკინი, ვ. ჟდანოვიჩი, მ. მიდლერი და ვ. პუტიატინი.

# გუშინ...

„განთიადის" საცურაო აუზში დაიწყო „ა" კლასის წყალბურთელთა II ჯგუფის გუნდების საკავშირო შეჯიბრების მეორე ტური.

ერევნის „ბურევესტნიკმა" 3:2 დაამარცხა აშხაბადელი არმიელები. ბღმაათელმა დინამოელებმა „მშრალი" ანგარიშით — 0:5 წააგეს კიეველ არმიელებთან. ტაშკენტის „მეხნატის" და კაუნასის „ჟალგირისის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4:4. სევასტოპოლის სკა-მ მოუგო ფრუნზეს „ისიკ-კულს" — 4:3, მოსკოვის ოლქის „ტრუდისა" და ტალინის „დინამოს" შეხვედრაში გაიმარჯვეს „ტრუდის" სპორტსმენებმა — 4:3. თბილისის „ლოკომოტივმა" ფრედ — (2:2) დაამთავრა შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკთან".

ჩელიაბინსკში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ჯგუფის I ქვეჯგუფში მონაწილე ადგილობრივ და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდებს შორის.

მატჩი დამთავრდა ჩელიაბინსკელთა გამარჯვებით — 1:0.

# ისწავლე ცურვა, საქართ!

◆ მინსკი, 3 ივლისი. დღეს აქ დაიწყო მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ძმები ზნამენსკების ჯილდოზე, რომელშიც გამოდის 14 ქვეყნის 500 სპორტსმენი. 3-დან ერთი ჯილდო დაისაკუთრა პოლონელმა ბოგუშევიჩმა 5.000 მეტრზე რბენაში. მან უკან ჩამოიტოვა საბჭოთა სტაიერები და აჩვენა 13.51,4. 100 მეტრზე რბენა დამთავრდა კუბელი სპორტსმენების გამარჯვებით. ქალთა შორის პირველი იყო კობიანი (11,5), ვაჟებში — ფიგეროლა (10,2). ბირთვის კვრაში ქალთა შორის ტოლი არ ჰყავდა თ. პრესს. მისი შედეგია 18 მ 12 სმ. სიგრძეზე ხტომაში უძლიერესი იყო ი. ტერ-ოვანესიანი — 7 მ 75 სმ. სიმაღლეზე ხტომაში შესანიშნავი შედეგი აჩვენა ვ. ბოლშოვმა. იგი გადახტა 218 სმ-ზე.

◆ მოსკოვი, 3 ივლისი. მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირზე დღეს ჩატარდა 2 მატჩი. უკრაინელმა ფეხბურთელებმა დიდი ალმაცლიბით ითამაშეს მოსკოვის გუნდთან და დაამარცხეს იგი ანგარიშით 5:2. ბელორუსიამ ძლია რსფსრ-ს II კოლექტივს — 4:1.

# ერთ კვირას...

ერთ კვირას გრძელდებოდა ქვანახშირის მრეწველობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, მარნეულის, ახალციხის, ჭიათურისა და ტყიბულის ნაკრები გუნდები.

კალათბურთელ ქალთა ტურნირი მოიგო ტყიბულის საბინაო განყოფილების გუნდმა, ვაჟთა შორის კი გაიმარჯვა ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა.

ფრენბურთში ჩემპიონები გახდნენ: ტყიბულის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ქალთა და ლენინის სახელობის შახტის ვაჟთა გუნდები.

ისახელეს თავი ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მოშაშეებმაც.

მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობა საქართველოს შახტების საპროექტო ინსტიტუტის (თბილისი) კოლექტივმა.

ს. ოზოლაძე,
„განთიადის" ტყიბულის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში



დამთავრდა რუსთავის თასის გათამაშება ფეხბურთში.
სურათზე: ფინალური ბრძოლა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ გაერთიანებული კოლექტივებისა და ქიმიური კომბინატის გუნდებს შორის. გამარჯვება წილად ხვდათ დინამოელებს — 4:3.

ფოტო რ. გაბრიჰიძისა.

# მატჩები ივლისში

### „ა“ კლასი
### I ჯგუფი

**6.** „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მინსკი) — „შახტიორი“.

**7.** „ტორპედო“ (ქუთაისი) — „პახტაკორი“, სკა (ოდესა) — „დინამო“ (კიევი), „ნეფტიანიკი“ — „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“ — ცსკა, „ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“, „კრ. სოვეტოვი“ — სკა (როსტოვი).

**10.** „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი).

**11.** სკა (როსტოვი) — „დინამო“ (მოსკოვი), სკა (ოდესა)— „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „პახტაკორი“ — „ლოკომოტივი“, „ნეფტიანიკი“ — „შახტიორი“, ცსკა — „კრ. სოვეტოვი“, „ზენიტი“ — „სპარტაკი“.

**15.** სკა (როსტოვი) — „სპარტაკი“, „ნეფტიანიკი“ — სკა (ოდესა), „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი), „პახტაკორი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (მინსკი), „კრ. სოვეტოვი“ — „შახტიორი“.

**19.** „დინამო“ (თბილისი) — სკა (როსტოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფტიანიკი“, „შახტიორი“ — ცსკა, „დინამო“ (კიევი) — „პახტაკორი“, „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (მინსკი)— „ზენიტი“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „კრ. სოვეტოვი“ — სკა (ოდესა).

**23.** სკა (როსტოვი) — „დინამო“ (კიევი), „შახტიორი“ — „სპარტაკი“, სკა (ოდესა)—„ტორპედო“ (ქუთაისი), „ნეფტიანიკი“ — „პახტაკორი“, ცსკა — „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“, „კრ. სოვეტოვი“ — „დინამო“ (მოსკოვი).

**24.** „ტორპედო“ (მოსკოვი)— „ჩერნომორეცი“.

**27.** „დინამო“ (თბილისი) — „პახტაკორი“, „ტორპედო“ (ქუთაისი)—„კრ. სოვეტოვი“, „შახტიორი“ — სკა (ოდესა), „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (კიევი), „ზენიტი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (მინსკი) — ცსკა.

**28.** ტორპედო“ (მოსკოვი) — სკა (როსტოვი).

**29.** „სპარტაკი“ (მოსკოვი)— „ჩერნომორეცი“.

## „ბ“ კლასი

რსფსრ-ს IV ზონა
გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 4 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 13 | 8 | 4 | 1 | 20—6 | 20 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 13 | 9 | 2 | 2 | 18—8 | 20 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 13 | 8 | 3 | 2 | 14—5 | 19 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 13 | 8 | 2 | 3 | 21—9 | 18 |
| „დინამო“ (ბაქო) | 13 | 8 | 2 | 3 | 23—12 | 18 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 12 | 6 | 2 | 4 | 20—11 | 14 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 13 | 5 | 4 | 4 | 14—10 | 14 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 13 | 4 | 6 | 3 | 11—9 | 14 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 14 | 5 | 4 | 5 | 14—13 | 14 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 13 | 6 | 2 | 5 | 14—14 | 14 |
| „კოლხიდა“ (ფოთი) | 13 | 5 | 4 | 4 | 10—14 | 14 |
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 14 | 5 | 3 | 6 | 18—19 | 13 |
| „შირაქი“ (ლენინაკანი) | 13 | 5 | 2 | 6 | 16—18 | 12 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 13 | 4 | 3 | 6 | 16—17 | 11 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 13 | 2 | 7 | 4 | 12—16 | 11 |
| „შრ. რეზერვები“ (კისლოვოდსკი) | 14 | 3 | 4 | 7 | 11—22 | 10 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 14 | 2 | 5 | 7 | 12—23 | 9 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 13 | 0 | 7 | 6 | 8—17 | 7 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 12 | 1 | 3 | 8 | 10—22 | 5 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 13 | 1 | 3 | 9 | 7—24 | 5 |

• • •

მოგვყავს „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩების შედეგები:

„დინამო“ (ბაქო) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 1:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 3:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 2:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)—„შრომითი რეზერვები“ (კისლოვოდსკი) 4:0, „შირაქი“ (ლენინაკანი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:1, „ლორი“ (კიროვაკანი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 1:2.

# წინ ფინალია

თბილისში, „დინამოს“ კორტებზე დასასრულს უახლოვდება საქართველოს უძლიერეს ჩოგბურთელთა პირადი პირველობა. შედგა ფინალური ასპარეზობის მეორე ტურის შეხვედრები ერთეულთა თანრიგში.

ვაჟთა შორის მწვავე თამაშით აღინიშნა ნ. მძინარიშვილისა და გ. პერეგუდოვის შეხვედრა. პირველი ორი პარტიის წაგების შემდეგ პერეგუდოვმა შეძლო ძალთა მობილიზება და ზედიზედ მოიგო სამი პარტია. მატჩის საბოლოო შედეგია: 2:6, 5.7, 6:4, 6:3 და 6:4. ეს ახალგაზრდა ჩოგბურთელის დიდი წარმატებაა.

ფინალური შეხვედრების მეორე წყვილის — თ. კაკულიასა და გ. გარიშვილის ასპარეზობა დამთავრდა 18 წლის კაკულიას იოლი გამარჯვებით — 6:2, 6:3, 6:2.

ამრიგად, ჩემპიონის წოდებაში ერთმანეთს შეეცილებიან თ. კაკულია და გ. პერეგუდოვი.

ქალთა ასპარეზობაში სენსაციები არ მომხდარა. რ. აბჟანდაძემ ადვილად დაამარცხა ა. ივანოვა — 6:1, 6:3. ი. ერმოლოვამ ამავე შედეგით სძლია ი. თუხარელს.

ამრიგად, ი. ერმოლოვასა და რ. აბჟანდაძის შეხვედრა გამოავლენს ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს ჩოგბურთელ ქალს

ფინალისტები გამოვლინდნენ აგრეთვე წყვილთა ასპარეზობებში: ქალთა შორის — რ. აბჟანდაძე და ნ. თუხარელი, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ნ. რუხაძე და ლ. მგალობლიშვილი — 6:1, 5:7, 7:5, და ი. ერმოლოვა და ა. ივანოვა, რომლებმაც სძლიეს ლ. რიაზანოვასა და ზ. სოლოდოვნიკოვას — 6:1, 6:4.

ვაჟთა ფინალში ჩემპიონობას ერთმანეთს შეეცილებიან წყვილები: ნ. მძინარიშვილი — ა. ვერულავა და გ. ახალაძე — გ. გოგლიძე. ეს უფლება მათ მოიპოვეს შესაბამისად პ. მეტრეველი— გ. მუსაელიანის (3:6, 6:2, 6:2, 6:4) და თ. კაკულია და გ. პერეგუდოვის (6:2, 2:6, 10:8, 6:4) დამარცხებით.

ფ. თუშიშვილი.

**ჩოგბურთი**

# კარგი შეჯიბრება ცუდი ფინალით

**ფრენბურთი**

საქართველოს ჩემპიონის თასი და „ოქროს ბურთის“ პრიზი ფრენბურთელ ქალთა გუნდებისათვის სოხუმის „კოლმეურნის“ ოსტატთა გუნდს ეპყრა ორი წლის (1963 და 1964) მანძილზე. ამჯერად სოხუმელ ფრენბურთელებს მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში მოუხდათ რესპუბლიკის ჩემპიონის წოდების დათმობა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან შეხვედრაში. სტუდენტებმა საქართველოს მორიგი პირველობა დაუმარცხებლად ჩაატარეს და დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი (გუნდის მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ე. ანტონოვი). კოლექტივი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: სპორტის ოსტატები მ. გოგლიძე, ლ. შევცოვა, აგრეთვე ა. კრავჩუკი, დ. კიბიზოვა, მ. კვირკველია, ა. სლანავოი, გ. ჩიტიშვილი, ც. აბუაშვილი.

შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა (მწვრთნელი — ი. ნიკოლაიშვილი), რომელმაც ფინალში მოუგო ბათუმის გუნდს. კოლექტივის ღირსებას იცავდნენ: მ. ლორია, ზ. ზურაბიშვილი, ი. აკოფოვი, ო. აბდოევი, ტ. მახარაძე, გ. ბაქრაძე. ამრიგად, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებმა დაიბრუნეს უძლიერესის სახელი და რესპუბლიკის 1965 წლის ჩემპიონები გახდნენ. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: ქალთა შორის — „განთიადი“ და თბილისის განათლების განყოფილების გუნდები, ხოლო ვაჟთა შორის— სოხუმისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივები.

სამწუხაროდ, ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ გასული წლის ჩემპიონები — თბილისის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელები, ქალთა შორის კი — ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

საერთოდ, ჩემპიონატი კარგ დონეზე ჩატარდა (მთავარი მსაჯი — ვ. გელაძე), მაგრამ ეს კარგი შთაბეჭდილება შეანელა შეჯიბრების უკანასკნელ დღეს მომხდარმა ფაქტმა: ასპარეზობის დახურვისას, შედეგების გამოცხადების შემდეგ გამარჯვებულ გუნდებს რატომღაც არ გადაეცათ საპატიო პრიზები. ვფიქრობთ, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას და მსაჯთა კოლეგიას დროზე უნდა ეზრუნა ამის შესახებ.

ე. ამირანაშვილი.

# „მეხიკოს ოლიმპიადა გრანდიოზული სპორტული დღესასწაული იქნება“

მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სამ წელზე მეტია დარჩენილი, მაგრამ ამჟამად მექსიკის დედაქალაქში გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული ოლიმპიადის სანიმუშოდ ჩატარებისათვის. რომის ოლიმპიადის შემდეგ მომავალი თამაშების ორგანიზატორები იაპონელები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ტოკიოს ასპარეზობა ყველა მოლოდინს გადააჭარბებსო. მართლაც, ეს ასე იყო; იაპონიამ შესანიშნავი მასპინძლობა გაუწია მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს, ურიცხვ სტუმარს.

და, როცა მომავალი ოლიმპიადის ჩატარების უფლება მეხიკომ იგდო ხელთ, ამ ქვეყნის სპორტის მესვეურები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ მათთან გამართული ოლიმპიადა წინამორბედებს გადააჭარბებს. მექსიკელები ამ საკითხში უფრო მორიდებულნი გამოდგნენ. მაგრამ მეხიკოში თამაშებისათვის მზადების მასშტაბები ძალზე დიდია და შესაძლოა მექსიკელებმაც „აუწიონ ხმას“, საქვეყნოდ განაცხადონ: მეხიკო დაჩრდილავს ტოკიოს! ამ ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა ადოლფო ლოპეს მატეოსმა, რომელიც 1 ივლისს შეუდგა მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას, განაცხადა: ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მეხიკოს ოლიმპიადა საერთაშორისო სპორტის გრანდიოზული დღესასწაული იყოს.

ცნობილი გახდა საორგანიზაციო კომიტეტის სხვა წევრების ვინაობაც. ესენი არიან: გენერალი ხოზე კლარკ ფლორესი — მექსიკის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, აგუსტინ ლეგორეტა — ეროვნული ბანკის დირექტორი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი და სხვ.



# ლ. ზაიცევას მსოფლიო რეკორდი

**მოსკოვი**, 2 ივლისი. მსოფლიოს ახალი მიღწევა დაამყარა სიმაღლეზე კომერციული ტვირთის გარეშე მყარ ჰორიზონტალურ ფრენაში საბჭოთა მფრინავმა ქალმა ლ. ზაიცევამ. წინასწარი მონაცემებით, ლ. ზაიცევამ მიაღწია 18.800 მეტრ სიმაღლეს და ზუსტად ერთ დონეზე იფრინა 90 წამი. ამასთან სასწავლო-საწვრთნელი რეაქტიული თვითმფრინავი ე-33 მიქროდა ბგერის სიჩქარეზე თითქმის ორჯერ მეტი სისწრაფით.

საქართველოს პირველობაზე წყლის თხილამურებით წარმატებით გამოვიდნენ განთიადელი სპორტსმენები. ქალთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა შ. ცნობილაძე, ხოლო ვაჟებში—ა. სანაძე.

სურათზე თქვენ ხედავთ გამარჯვებულ სპორტსმენს — შ. ცნობილაძეს (ზემოთ) და ა. სანაძეს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.



## ახალი ამბები

● **ჰელსინკი**, 2 ივლისი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა 1500 მეტრზე რბენაში ცნობილმა მძლეოსანმა პ. სნელმა (ახალი ზელანდია) თავის საყვარელ დისტანციაზე მარცხი განიცადა. ფინიშთან იგი მხოლოდ მეხუთე იყო. გაიმარჯვა ამერიკელმა გრელემ (3.40,8). სნელის დროა 3.43,7. ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი: 100 მეტრზე რბენაში — კონე (სპილოს ძვლის ნაპირი) — 10,3, 200 მეტრზე რბენაში — ლუისი (აშშ) — 21,0, 10.000 მეტრზე რბენაში — გამუდი (ტუნისი) — 28.56,2, სიმაღლეზე ხტომაში — ბარელი (აშშ) — 206 სმ, უროს ტყორცნაში — ჟივოცკი (უნგრეთი) — 67,44 მ, შუბის ტყორცნაში — კიმუნენი (ფინეთი)—85,02 მ.

● **ვაშინგტონი**, 2 ივლისი. ყრუ-მუნჯთა ოლიმპიურ ასპარეზობაში, რომელიც აქ მიმდინარეობს, დიდი წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები. მათ ოქროს 20 მედალი აქვთ მოპოვებული. წინ კი თავისუფალ მოჭიდავეთა ასპარეზობაა, რომელშიც საბჭოთა ათლეტების შანსები გამარჯვებაზე ძალზე მაღალია. მძლეოსნობაში მორიგი ოქროს მედლები დაისაკუთრეს: ვ. სუმაროკოვმა — 110 და 400 მეტრზე თარჯრბენში (14,6 და 52,5), გ. დემანოვმა — 5000 მეტრზე სპორტულ სიარულში (22.53,6), ე. სლუცკიმ — სიმაღლეზე ხტომაში (190 სმ), ა. ბოიცოვმა — 10.000 მეტრზე რბენაში (32.11,6). 400 მეტრზე რბენაში ლ. ჯურუკმა 48,9 აჩვენა, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია ყრუ-მუნჯთათვის. ქალთა შორის 80 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი იყო ნ. ივანოვა (12,1), ხოლო ბირთვის კვრაში — ფ. ვარაკინა — 12,99 მ.

# ორი აზრი — ორი პროგნოზი

## ფაბრი: „ბრაზილიელები დაკარგავენ ჩემპიონობას“

იტალიელი მიმომხილველი ე. მასიერი ეწვია ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელს ე. ფაბრის და ესაუბრა თანამედროვე ფეხბურთის პრობლემებზე.

**— რას იტყვით იტალიაში გავრცელებული დაცვითი სისტემების შესახებ?**

არ მინდა პოლემიკა ვაწარმოო თამაშის სისტემებზე. ჩემი მიზანი სულ სხვაა — იტალიელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიყვანო. 9 ნოემბერს გლაზგოში შოტლანდიელებთან დაცვაზე და ფრეზე ვითამაშებთ, 7 დეკემბერს მილანში კი მხოლოდ მოგება გვაძლევს ხელს!

**— კიდევ გაქვთ უთანხმოება კლუბებთან?**

გვაქვს და მერე როგორი! „ინტერნაციონალეს“, „მილანის“, „იუვენტუსისა“ და „ბოლონიას“, ე. ი. ნაკრების მოთამაშეთა მთავარი მომწოდებლების ხელმძღვანელობა ნამდვილ საბოტაჟს გვიწევს. ომის გადახდა მიხდება, რათა ამ კლუბებში გაანთავისუფლონ ჩვენთვის საჭირო მოთამაშეები.

**— ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონობას?**

დავიწყოთ იმით, თუ ვინ გაემგზავრება ლონდონში. ევროპის ზონებიდან ფინალში აუცილებლად გავლენ პორტუგალია, სსრ კავშირი, ესპანეთი და იუგოსლავია. ჩეხები, ცხადია, ვერ გაემგზავრებიან ინგლისში და ეს დიდი სენსაციაა.

ბრაზილიელებს, რომლებმაც ორჯერ ესოდენ ბრწყინვალედ მოიპოვეს ჩემპიონობა, ახლა უკანდახევა მოუხდებათ — გაიმარჯვებს ერთ-ერთი ევროპული გუნდი. რომელი? შესაძლოა ინგლისი ან უნგრეთი.

**— ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოში უძლიერეს ფეხბურთელად?**

ასეთად ჩვეულებრივ პელეს თვლიან, მაგრამ მე არ ვიზიარებ ამ აზრს. მასზე უფრო ძლიერია ეუსებიო. უკვე არაერთხელ ვნახე ამ არაჩვეულებრივი ფორვარდის თამაში და დავრწმუნდი, რომ მას მეტოქეები არა ჰყავს არა მარტო დღეს, არამედ საერთოდ ფეხბურთის ისტორიაშიც!

**— როგორ გადაწყვეტთ თქვენს გუნდში ცენტრფორვარდის პრობლემას?**

ამჟამად ამ პოსტზე სამი კანდიდატი გვყავს — ორლანდო, ბრიჯენტი და ნიკკოლე. თუ არც ერთმა მათგანმა არ გაგვიმართლა, ისევ მაცოლას უნდა მივმართოთ, თუმცა იგი ფიზიკურად სუსტია. და, მაინც, არც ერთი ეს პრეტენდენტი არ გადაწყვეტს პრობლემას — ჩვენ გვჭირდება ისეთი ტიპის ცენტრალური თავდამსხმელი, როგორიც ალტაფინი და ამარილდო არიან, მკვეთრი და შედეგიანი მოთამაშეები.

## ვან-დენ-შტოკი: „ბრაზილიელები ინგლისში საუცხოოდ ითამაშებენ“

„ბრაზილიელთა რომელ დასუსტებაზეა ლაპარაკი? მსოფლიო ჩემპიონი ისეთივე სიძლიერით თამაშობს, როგორც ადრე!“ — განაცხადა ბელგიის ნაკრების მწვრთნელმა კ. ვან-დენ-შტოკმა თავისი გუნდის საშინელი „ნოკაუტის“ შემდეგ (0:5).

„შარშან ბრიუსელში ბრაზილიელებს მოვუგეთ ანგარიშით 5:1, მაგრამ ის სხვა გუნდი იყო, ახლანდელი კი ძალზე ძლიერია და გოლები იოლად გააქვს. ჯერ კიდევ სავარჯიშო მატჩში თავიანთ მეორე შემადგენლობასთან, რომელიც პირველმა მოიგო ანგარიშით 3:1, ბრაზილიელებმა გვიჩვენეს, რომ საუკეთესო ფორმაში არიან. მეტად ძნელია გარინჩას, პელეს, ფლავიოსა და რინალდის შეჩერება. მე მწამს, რომ ბრაზილიელები, რომლებსაც წინასწარ უწინასწარმეტყველებენ დამარცხებას, ინგლისში საუცხოოდ ითამაშებენ“.

პელემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ოპტიმისტურადაა განწყობილი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, სადაც ბრაზილიელებმა უნდა შეინარჩუნონ ჩემპიონობა.

ბრაზილიური პრესა კმაყოფილია ეროვნული ნაკრებით, განსაკუთრებით კი პელეთი. „გაძეტა ესპორტივა“ წერს: „ჩვენ ვერ ვხედავთ მსოფლიოში გუნდს, რომელიც გაუძლებს პელესი და მისი პარტნიორების შეტევას“.

ბრაზილიელ მიმომხილველთა უმრავლესობის აზრით, მათი ნაკრები ასე უნდა შედგეს: მ ე კ ა რ ე მანგა („ბოტაფოგო“), მ ც ვ ე ლ ე ბ ი — ჯ. სანტოსი („პალმეირასი“), ბელინი („სან-პაულო“), ორლანდო („სანტოსი“), რილდო („ბოტაფოგო“), ნ ა ხ ე ვ ა რ მ ც ვ ე ლ ე ბ ი — დუდუ („პალმეირასი“), ადემირ და გუია („პალმეირასი“), თ ა ვ დ ა მ ს ხ მ ე ლ ე ბ ი — გარინჩა („ბოტაფოგო“), ფლავიო („კორინტიანსი“), პელე („სანტოსი“) და რინალდო („პალმეირასი“).

## 31 ივლისს, კიევში

უკრაინის დედაქალაქი ივლისის თვეში საინტერესო სპორტული ღონისძიების მოწმე გახდება. აქ 31 ივლისს და 1 აგვისტოს გაიმართება ეგრეთწოდებული „გიგანტთა მატჩი“ სსრ კავშირისა და აშშ-ის უძლიერეს მძლეოსნებს შორის.

ამერიკის ჩემპიონატზე, რომელიც სან-დიეგოში გაიმართა, გამოვლინდა მატჩის მონაწილე ამერიკელი მძლეოსნები. ესენი არიან: ოლიმპიური ჩემპიონები ბ. მილსი, რ. შიული, რ. კოული, ჭოკით მხტომელი ჯ. პენელი, ჰ. კონოლი, რ. ბოსტონი. 18 წლის ჯ. რაიანი, რომელმაც სან-დიეგოში აჯობა ახალზელანდიელ პ. სნელს, სპრინტერი დ. ნიუმენი, სიმაღლეზე მხტომელი ო. ბარელი, ათჭიდელები — ბ. ტუმეი და რ. ჰოდჯი.

ქალთა გუნდი უფრო მოგვიანებით დაკომპლექტდება.



გაზაფხული სავსეა სიამოვნებით. და მისი ყველაზე უფრო მტკიცე საფუძველი სპორტი და ფიზიკური ვარჯიშია.

მიმდინარე ზაფხულიც, ისევე როგორც ადრინდელები, დაუვიწყარი დარჩება განსაკუთრებით ბავშვებისათვის; და განსაკუთრებით მათთვის, ვინც ახლა პიონერთა ბანაკებში, დასასვენებელ სახლებსა თუ სანატორიუმებში იმყოფებიან. მათთვის ზაფხული ზღაპრულად გატარებული დრო, სხვადასხვა სპორტული თამაშობანი, წარმტაცი მოგზაურობანი — ერთი სიტყვით, ყველაზე უფრო ნაირგვარი, ყველაზე უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილებებით აღსავსე დროა.

• • •

სურათზე: საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მე-7 ხამკერვალო ფაბრიკის წყნეთის პიონერთა ბანაკის ნორჩი ტურისტები ლაშქრობის დროს.

ფოტო დ. ჩიხელისა.

# დიდოსტატთა „კვარტეტი“ ბლედში

იუგოსლავიური გაზეთები ამჟამად ბევრს წერენ პრეტენდენტთა ორთაბრძოლების შესახებ. აი, ამ საჭადრაკო ასპარეზობის სტარტისწინა ამბები, რომლებზეც იუგოსლავიური სპორტული გაზეთები წერენ:

„ახლა ბლედში სააგარაკო სეზონია. სასტუმროები ხალხითაა გაჭედილი. მოლივლივე ცისფერი ტბის პლიაჟი სავსეა დამსვენებლებით. მცხუნვარე მზე და გრილი ტბა ყველას იზიდავს. თვალს მოკრავთ ტურისტებსაც, რომლებიც დილაადრიანადვე მიეშურებიან ნაძვნარით შემოსილი მთებისაკენ.

ყველა, ვინც ბლედშია, ძალაუნებურად ლაპარაკობს პრეტენდენტების თამაშზე. საღამოობით სასტუმრო „ტოპლიცას“ წინ დიდძალი გულშემატკივარი იყრის თავს. ეს იმიტომ, რომ პრეტენდენტები ამ სასტუმროს ფოიეში თამაშობენ.

ბლედში პირველად ჩამოვიდნენ ტალი და მისი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. კობლენცი. მანამდე საბჭოთა მოჭადრაკეები ეწვივნენ ბელგრადსა და ლიუბლიანას. საინტერესოა, რომ ისინი მეორედ არიან ერთად ბლედში (პირველად — 1959 წელს, პრეტენდენტთა ტურნირზე).

ყველა მონაწილეს თითო მწვრთნელი ახლავს. პორტიშს კი ორი ჩამოჰყვა — საერთაშორისო ოსტატები ტ. ფლორიანი და ფ. კებერლი. ლარსენის მწვრთნელია... მეუღლე, რომელიც მუდამ ქმართანაა დიდ ტურნირებზე. ივკოვს წვრთნის ოსტატი ა. სმედერევაცი — მისი პირველი მასწავლებელი“.

გაზეთები იტყობინებიან, რომ პრეტენდენტები მტკიცედ იცავენ დღის რეჟიმს. ერთ და იმავე საათზე ტალი და კობლენცი ტყისკენ მისეირნობენ საუბრით. ლარსენი დილით პლიაჟზე „იხრუკება“. მას მზე იზიდავს. პორტიშს თავისი „ამალით“ უფრო ხშირად პარკში შეხვდებით. ივკოვიც მეტ დროს სუფთა ჰაერზე სეირნობაში ატარებს.

იუგოსლავიური გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ ორთაბრძოლების პარტიებს, უხვად აქვეყნებენ ინტერვიუს. საინტერესოა ბ. სპასკის ნათქვამი, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა: ივკოვ—ლარსენის მატჩში ძნელია გამოიცნო გამარჯვებულიო. ასეთი პროგნოზი ადრე არც ერთ სპეციალისტს არ გაუკეთებია. ყველა (თვით ივკოვიც!) გამარჯვებას ივკოვს უწინასწარმეტყველებდა.

გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ პრეტენდენტთა ორთაბრძოლები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაივლის.

გაზეთებში გამოქვეყნებულია აგრეთვე მეოთხედფინალური მატჩებისა და ნახევარფინალური ასპარეზობის კალენდარი, რომლებიც აქვე მოგვყავს.

ტალ — პორტიშისა და ივკოვ — ლარსენის მეოთხედფინალური მატჩების განრიგი ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| V | პარტია | 4 | ივლისი |
| VI | „ | 5 | “ |
| VII | „ | 7 | “ |
| VIII | „ | 8 | “ |
| IX | „ | 11 | “ |
| X | „ | 13 | „ |

6, 9, 12 და 14 ივლისს შედგება გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო 10 ივლისი დასვენების დღეა.

ნახევარფინალური მატჩის განრიგი:

| | | | |
|---|---|---|---|
| I | პარტია | 21 | ივლისს |
| II | „ | 23 | “ |
| III | „ | 24 | „ |
| IV | „ | 25 | „ |
| V | „ | 27 | „ |
| VI | „ | 30 | “ |
| VII | “ | 31 | “ |
| VIII | “ | 2 | აგვისტო |
| IX | „ | 3 | „ |
| X | “ | 6 | „ |

22, 25, 28 ივლისს და 1, 4, 7 აგვისტოს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება. 29 ივლისი დასვენების დღეა.

## ოლიმპიური ვალუტა

**ცნობილმა** ბელგიელმა მძლეოსანმა გასტონ რეიფმა გადაწყვიტა ჩაატაროს მცირე გამოკვლევა იმისათვის, რათა დაადგინოს, რამდენად გაუმჯობესდა ოლიმპიური მიღწევები უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. რეიფმა დაადგინა, რომ 1936 წლის თამაშებში ოქროს მედალთა მფლობელების 80-მა პროცენტმა გაცილებით უფრო დაბალი შედეგები აჩვენა ტოკიოს ოლიმპიადაში დამყარებულ ოლიმპიურ ნორმატივებთან შედარებით.

— ოლიმპიური ოქრო, — განაცხადა რეიფმა, — ესაა კეთილშობილი ლითონი, რომელიც ბევრი რამით ჰგავს ჩვეულებრივ ვალუტას. ისევე როგორც ვალუტა იცვლის კურსს, ოლიმპიური მედალიც სხვადასხვა წელს სხვადასხვაგვარად ფასდება. სპორტსმენები ამტკიცებენ, რომ ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობანი ჭეშმარიტად უსაზღვროა.

## ყველა ქვეყნის სპორტული საინფორმაციო სააგენტოები გადმოგვცემენ

▲ ა კ ს-ლ ე-ტ ე რ მ ი (საფრანგეთი). ესპანელი ველოსიპედისტების გამარჯვება „ტურ დე ლავენირში“ არავისში ეჭვს არ იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ მოყვარულთა ამ ველორბოლის მე-11 ეტაპი (162,5 კმ) მოიგო ფრანგმა დევაჟმა, გუნდურში გამარჯვება დარჩა ესპანეთის გუნდს. ლიდერის ყვითელი მაისური კვლავ „ხელთ“ აქვს ესპანელ დიასს.

▲ მ ი ლ ა ნ ი. იტალიის მომავალი ოლიმპიური გუნდის წევრმა ველოსპორტში პლებანიმ ამას წინათ მილანის ტრეკზე აჩვენა მაღალი შედეგი 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში — 4.56. ამავე ტრეკზე ახალგაზრდა სპორტსმენებმა ცუკოტიმ, ბონელიმ, აგრეთვე ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორებმა — რონკალიამ და მანტოვანიმ 4-კილომეტრიანი დისტანცია დაფარეს 4.35,4-ში. ეს შედეგი საუკეთესოა ამ სეზონში.

## თბილისი სპორტულ ბანაკში

**წყალბურთი.** „განთიადის“ საცურაო აუზი (300 არაგველის ქ. № 1). სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის II ჯგუფი (I წრე, II ტური). 4 ივლისი. 12 ს. სკა (კიევი) — „ვიმპელი“ (მოსკოვის ოლქი), 12 ს. 55 წ. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — სკა (აშხაბადი), 13 ს. 50 წ. „ბურევესტნიკი“ (ერევანი) — „დინამო“ (ალმა-ათა), 14 ს. 40 წ. სკჩფ (სევასტოპოლი) — „მეხნატი“ (ტაშკენტი), 15 ს. 30 წ. „დინამო“ (ტალინი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი), 16 ს. 20 წ. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ისიკ-კული“ (ფრუნზე). 5 ივლისი. 16 ს. „დინამო“ (ალმა-ათა) — „ჟალგირისი“ (კაუნასი), 16 ს. 55 წ. „ვიმპელი“ (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი“ (ერევანი), 17 ს. 50 წ. სკა (აშხაბადი) — სკჩფ (სევასტოპოლი), 18 ს. 40 წ. „ისიკ-კული“ (ფრუნზე) — „დინამო“ (ტალინი), 19 ს. 30 წ. „მეხნატი“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), 20 ს. 30 წ. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — სკა (კიევი).

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. 4 ივლისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. „თოლია“ (თბილისი) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი). დასაწყისი 16 ს. სკა-ს სტადიონი (შაუმიანის ქ. № 25). სკა (თბილისი) — „სამეგრელო“ (ზუგდიდი). დასაწყისი 11 ს. სპორტკლუბ „სინათლეს“ სტადიონი (ავჭალის გზატკეცილი № 92). „სინათლე“ (თბილისი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური). დასაწყისი 17 ს. 30 წ.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00791